

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა
სამინისტრო**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში
მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.01.22. 031) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის
საცხოვრებელი კომპლექსის მე-3 და მე-4 კორპუსების მშენებლობის და გარე (ეზოს)

კეთილმოწყობის სამუშაოების

სახელმწიფო შესყიდვა

(CPV – 45200000)

„ელექტრონული ტენდერის“ საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
2015 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია „ელექტრონულ ტენდერში“ მონაწილეთათვის ----- 3
2. სამუშაოების ტექნიკური პირობები (ტექნიკური დავალება)-----4
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები -----6
4. სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები და ინფორმაცია ----- 7
5. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი -----8



1. ინსტრუქცია „ელექტრონულ ტენდერში“ მონაწილეთათვის

- 1.1 ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა – ხორციელდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის პორტალი განთავსებულია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge.
- 1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.
- 1.3. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- 1.5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.6. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
- 1.7. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის და განმარტებების მიღება შეუძლიათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (მისამართი: ქ.თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა) სატენდერო კომისიის აპარატის წევრებისგან:
 - ა) ირაკლი თოფურია, მაიკო მიქაია, ტელეფონი: 2 31 15 80, ელ. ფოსტა: m.mikaia@mra.gov.ge , სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
 - ბ) ნინო მენტეშაშვილი, ტელ: 551 30 25 25 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტი:

- 2.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში - შემსყიდველი) მიერ ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.01.22. 031) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საცხოვრებელი კომპლექსის მე-3 და მე-4 კორპუსების მშენებლობის და გარე (ეზოს) კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (CPV –45200000) „ელექტრონული ტენდერის“ საშუალებით.
- 2.2. სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა **8 107 321.00** (რვა მილიონ ას შვიდი ათას სამასოცდაერთი) ლარი შესაბამისი გადასახადების (მათ შორის - დღგ), გათვალისწინებით.
- 2.3. სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას თანდართული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.
- 2.4. სატენდერო დოკუმენტაციის ჩამოთვლილ საქონელზე, სადაც მითითებულია კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, ან მარკა იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.
- 2.5. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი);
- 2.6. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.
- 2.7. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი მასალების და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა და სხვა) თანხმდება „შემსყიდველთან“.
- 2.8. შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ **1 (ერთ) წლიანი** გარანტია. „მიმწოდებელი“ ვალდებული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის/ხარვეზის აღმოფხვრა-გამოსწორება უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით.
- 2.9. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაიცვას და უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების დაუზიანებლობა და სიცოცხლისუნარიანობა, ასევე მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გარემოზე გავლენა.
- 2.10. სატენდერო წინადადების ფასში საპროექტო ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი ხარჯების საპროცენტო მაჩვენებელი არ ექვემდებარება (შემცირებას) კორექტირებას.
- 2.11. პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებს, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ფორმების შესაბამისად. ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს პრედენდენტის დისკვალიფიკაციას ყოველგვარი დაზუსტების პროცედურების გარეშე.
- 2.12 ხარჯთაღრიცხვის შედგენისას ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების ზღვრული პროცენტული მაჩვენებელი უნდა განისაზღვროს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანების მიხედვით.

2.13. სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას პრეტენდენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველთან“ შეთანხმებით საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ტექნიკური ნებართვების შეთანხმება შესაბამის ორგანიზაციებთან. ასევე უნდა გაითვალისწინოს მშენებლობის მიმდინარეობის სეზონურობა და წინასწარ გათვალისწინებული ყველა დანახარჯი, რაც გამოწვეული იქნება სამშენებლო სამუშაოების ზამთრის პერიოდში წარმოებასთან.

2.14. საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული დასამონტაჟებელი ტექნიკური მოწყობილობების ან დანადგარების ფასის ცვლილების შემთხვევაში, შემოთავაზებული მოწყობილობების ტექნიკური მახასიათებლები და ფასის ადეკვატურობა უნდა შეთანხმდეს „შემსყიდველთან“;

2.15. თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა უნდა დაასაბუთოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე, ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს „პრეტენდენტი“. ექსპერტიზის დასკვნა ატვირთული უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო კომისიის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. დასკვნის წარმოდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.16. სამუშაოების შესრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან, 540 (ხუთას ორმოცი) კალენდარულ დღემდე პერიოდს.

2.17 ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს დეტალურად დაყოფილი კალენდარული გეგმა-გრაფიკი შემსყიდველთან შეთანხმებული ფორმით.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2015 და 2016 წლებში „შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

3.2. ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც წინასწარი საავანსო (ღირებულების 10%-მდე) გადახდით, ისე ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3. საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს“ წარუდგინოს საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. ამასთან შუალედური შესრულების საფუძველზე პირველ რიგში ხორციელდება საბანკო გარანტიის სრულად გაქვითვა.

შენიშვნა: ხელშეკრულების საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ.

4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

4.1. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **უპირობო** საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების **5%-ის** ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

4.2. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული „მიმწოდებლის“ მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **უპირობო** საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების **10%-ის** ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვადა **30 კალენდარული დღით** უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

შენიშვნა: ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ.

5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

5.1. ფიზიკური პირისათვის:

5.1.1. ცნობა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესახებ (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

5.1.2. ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, მისამართი, პირადი ნომერი, საბანკო და სხვა რეკვიზიტები.

5.2. იურიდიული პირისათვის:

5.2.1. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

5.2.2. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

5.2.3. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ არ მიმდინარეობს პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

5.2.4. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პირის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

5.2.5. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტებისადმი პირის დავალიანების არარსებობის შესახებ;

5.3. ინდივიდუალური მეწარმეთათვის:

5.3.1 ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

5.3.2. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პირის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

5.3.3. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტებისადმი პირის დავალიანების არარსებობის შესახებ;

5.4. **არარეზიდენტმა პირებმა** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული და დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

შენიშვნა: ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (სტატუსი - წინადადებების მიღება დაწყებული) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს აღნიშნული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა;

6. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

6.1. პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, პირადი ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და სხვა რეკვიზიტები);

6.2. სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის საერთო ფასის ფარგლებში შედგენილი ხარჯთაღრიცხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად;

6.3. სამუშაოების განხორციელების ვადები (540 კალენდარული დღე) გეგმა-გრაფიკის სახით; (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების დროს 2.17. პუნქტის გათვალისწინებით).

6.4. ინფორმაცია პრეტენდენტის ბალანსზე რიცხული ან/და დროებით სარგებლობაში ან/და საკუთრებაში არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ .

6.5. პრეტენდენტის გამოცდილება:

6.5.1. პრეტენდენტს 2013 წლის 01 იანვრიდან სატენდერო წინადადების წარდგენის დღემდე შესრულებული უნდა ჰქონდეს შენობის სამშენებლო სამუშაოები მინიმუმ 2 027 000.00 (ორი მილიონ ოცდაშვიდი ათასი) ლარის ოდენობით, რაზედაც უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები, ასევე ამავე პერიოდის ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი საბანკო ანგარიშებიდან).

6.5.2. პრეტენდენტის მიერ 6.5.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამოცდილებიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულებული ობიექტის მინიმუმ ერთი ხელშეკრულების საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს 1 000 000.00 (ერთი მილიონი) ლარს.

6.6. ინფორმაცია, სადაც მითითებული იქნება საზოგადოებაში დასაქმებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და სამშენებლო სპეციალობების მქონე მუშა-მოსამსახურთა კვალიფიკაცია და გამოცდილება;

6.7. თანხმობა შესრულებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გავრცელებულ საგარანტიო ვადებზე;

6.7.1. სამშენებლო -სარემონტო სამუშაოები მინიმუმ 1 (ერთი) წელი;

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად დაერთება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი

--- ----- 2015 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენელი მინისტრის პირველი მოადგილის გრიგოლ გიორგაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „-----“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენელი მისი დირექტორის ----- სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონულ ტენდერში“ (SPA -----) გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც მოხსენიებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვნული შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“, „წელი“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე, წელი.
- 1.4. „სამუშაო დღე“ - დღე, გარდა შაბათი-კვირისა და კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.
- 1.5. „შემსყიდველი“ – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.
- 1.6. „მიმწოდებელი“ – „ელექტრონულ ტენდერში“ (SPA -----) გამარჯვებული პრეტენდენტი. პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „სამუშაოს“ მიწოდებას.
- 1.7. „სამუშაო“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.8. „გეგმა-გრაფიკი“ - „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველთან“ შეთანხმებული შესასრულებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო „სამუშაოების“ ჩამონათვალი და მასში განსაზღვრული მონაკვეთების/ეტაპების შესრულების ვადები.
- 1.9. „ინსპექტირება“ – „შემსყიდველის მიერ „მიმწოდებლის,, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, ასევე „გეგმა-გრაფიკით“ გათვალისწინებული ვადების დაცვის შესაბამისობის შემოწმება სამუშაოების დაწყებიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით.
- 1.10. „კომუნიკაციის საშუალებები“ - ხელშეკრულების მე-18 მუხლში მითითებული მხარეთა იურიდიული საკონტაქტო საშუალებები (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა, ფაქსი).
- 1.11. „შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი“ – „სამუშაოს“ შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შესრულებული სამუშაოს დადასტურება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე.
- 1.12. „საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი“ – შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, „სამუშაოს“ დასრულების და „შემსყიდველის“ მიერ მიღების დადასტურება, მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

1.13. „ავანსი“ - ხელშეკრულების პირობების თანახმად, „ხელშეკრულების ღირებულების“ წინასწარი სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება შესაბამისი საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე.

1.14. საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია - ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, „მიმწოდებლის“ მიერ, ფინანსური ინსტიტუტიდან „შემსყიდველის“ სახელზე წარმოდგენილი საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია, რომლითაც ფინანსური ინსტიტუტი კისრულობს წერილობით ვალდებულებას, „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაუხადოს „შემსყიდველს“ ფულადი თანხა, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

1.15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია - ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, „მიმწოდებლის“ მიერ, ფინანსური ინსტიტუტიდან „შემსყიდველის“ სახელზე წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლითაც ფინანსური ინსტიტუტი კისრულობს წერილობით ვალდებულებას, „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაუხადოს „შემსყიდველს“ ფულადი თანხა, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

1.16. „გაქვითვა“ - „სამუშაოს“ შუალედური ან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, თანხის ავანსად გადახდისათვის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საბანკო გარანტიის შემცირება და/ან გაბათილება, „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობით.

1.17. ექსპერტიზა - „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შესაბამისი დასკვნით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

2.1. -----

----- სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, ამ ხელშეკრულებას თანდართული სატენდერო დოკუმენტაციის (სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის), მათ შორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და „გეგმა-გრავიკის“ საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.2. CPV 452 00000 - „მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები“;

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ შეადგენს ----- (-----
-----) ლარს.

3.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ მოიცავს როგორც უშუალოდ „სამუშაოს“ ღირებულებას, ასევე მის შესრულებასთან დაკავშირებით გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. „ხელშეკრულების ღირებულება“ შესაძლებელია შემცირდეს ამ „ხელშეკრულების“ პირობების გათვალისწინებით, წარმოდგენილი შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და დასრულების ვადა

4.1. „სამუშაოს“ შესრულების ადგილი: -----

-----; 4.2. „სამუშაოს“ დასრულების ვადა: „სამუშაო“ უნდა შესრულდეს 2015 წლის ----- დან 2016 წლის ----- ის ჩათვლით.

4.3. 4.2. პუნქტით განსაზღვრული „სამუშაოს“ დასრულების ვადა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელდეს „სამუშაოს“ შესრულებისათვის აუცილებელი გონივრული ვადით, იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით მიმართავს „შემსყიდველს“ „სამუშაოს“ დასრულების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში „მიმწოდებლის“ მიმართ არ გამოიყენება ხელშეკრულების 12.2. პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა;

4.4 4.3. პუნქტით გათვალისწინებული 10 სამუშაო დღის ვადის დარღვევის შემთხვევაში, 4.2. პუნქტით განსაზღვრული ვადა, მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება გაგრძელდეს ხელშეკრულების 12.2. პუნქტში მოცემული პირობის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ შესაბამისი

პირგასამტეხლო დაეკისრება 4.2. პუნქტში აღნიშნული სამუშაოს დასრულების თარიღიდან, ამ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების გაფორმების თარიღამდე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვნული შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული „სამუშაოს ღირებულების“ ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით;

5.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „სამუშაოს ღირებულების“ ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობებისა და ვადის დაცვით.

5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) განახორციელოს „სამუშაო“ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად, „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;

ბ) განახორციელოს „სამუშაო“ „გეგმა-გრაფიკით“ გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მონაკვეთების/ეტაპების ვადების დაცვით;

გ) „შემსყიდველის“ მიერ „სამუშაოს“ დასრულებამდე, ასევე „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, გამოვლენილი დეფექტი, ნაკლი ან/და უხარისხოდ შესრულებული სამუშაო, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას „შემსყიდველის“ მიერ წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში;

დ) შესრულებული სამუშაოს მოცულობებისა და ხარისხის, შესაბამისი ფასების რეალობისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით, გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებიდან არა უმეტეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში „შემსყიდველს“ წარუდგინოს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის ღირებულებასაც „მიმწოდებელი“ ანაზღაურებს საკუთარი ხარჯებით;

ე) „შემსყიდველს“ დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს სამუშაოების „გეგმა-გრაფიკით“ გათვალისწინებულ ვადაში დამთავრების შესახებ და წარმოადგინოს „ხელშეკრულების“ პირობებით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის, მიმართვა (წერილის ასლი) გაგზავნილი სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ შესრულებული სამუშაოს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

ვ) მოიპოვოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საჭირო ნებართვა და/ან თანხმობა და/ან უფლება, საკუთარი ხარჯებით.

ზ) „სამუშაოს“ დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამშენებლო მოედნის სრული ტერიტორია სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან, ასევე დაიცვას და უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების დაუზიანებლობა და სიცოცხლისუნარიანობა, მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გარემოზე გავლენა.

თ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის განსაზღვრული ნორმები (მათ შორის შრომის უსაფრთხოება), წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრება კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი პასუხისმგებლობა;

5.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ფარული სამუშაოები აწარმოოს „შემსყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ინსპექტირებისათვის განსაზღვრული პირ(ებ)ის ზედამხედველობის ქვეშ, ამასთან, წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე, წერილობით და ზეპირი საშუალებით აცნობოს „შემსყიდველს“ აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება „შემსყიდველის“ მხრიდან ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირის დასწრება ფარული სამუშაოების მიმდინარეობისას, ასეთ შემთხვევაში „შემსყიდველის“ მითითებით, ფარული სამუშაოების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა, შესაძლებელია განახორციელოს სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელმა. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ წარმოუდგინოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად ფარული სამუშაოების შესრულების ამსახველი ფოტო მასალა.

5.6. „მხარეები“ ვალდებულნი არიან ხელშეკრულების მე-18 მუხლში მითითებულ მათ „კომუნიკაციის საშუალებებში“ ნებისმიერი ცვლილების თაობაზე შესაბამის მხარეს დაუყოვნებლივ აცნობონ წერილობით.

მუხლი 6. გარანტია

6.1. „ხელშეკრულების“ საფუძველზე შესრულებული „სამუშაოს“ საგარანტიო ვადაა 1 (ერთი) წელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6.2. თუ შესრულებული „სამუშაოს“ საგარანტიო ვადის ამოწურვამდე, ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლინდება შესრულებული „სამუშაოს“ ხარვეზი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია, „შემსყიდველის“ მიერ წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

7.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 2-დან 10%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, გამოიყენება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების ასანაზღაურებლად.

7.3. „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებლის“ მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

7.4. „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება საბოლოო ანგარიშსწორებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

მუხლი 8. ინსპექტირება

8.1. „შემსყიდველი“ ატარებს „ინსპექტირებას“ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს, რომლებიც ამოწმებენ ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის: გეგმა-გრაფიკს, სამუშაოების შესრულების შესაბამისობას პროექტთან და ხარისხს. ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ „ინსპექტირების“ განხორციელების დროს.

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება ნებისმიერ დროს, ამასთან, „გეგმა-გრაფიკით“ გათვალისწინებული ვადების დაცვის შესაბამისობის შემოწმება განხორციელდება 8.3 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდულობით.

8.3. „გეგმა-გრაფიკით“ გათვალისწინებული ვადების დაცვის შესაბამისობის შემოწმების პერიოდულობა განისაზღვრება -----.

8.4. „ინსპექტირებას“ განახორციელებ(ენ)ს სამინისტროს განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს წარმომადგენლები -----.

მუხლი 9. სამუშაოს მიღება-ჩაბარება

9.1. შესასრულებელი სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხორციელდება მთლიანად ან ეტაპობრივად სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა N-2-ის, შესაბამისი შუალედური და/ან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხელმოწერისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის (მათ შორის ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი, ასეთის შესრულების შემთხვევაში და სხვა) წარმოდგენის საფუძველზე.

9.2. ეტაპობრივი „სამუშაოს“ შესრულების მინიმალური მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ **200 000.00** ლარით.

9.3. „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „მიმწოდებლის“ მიერ „სამუშაოს“ დასრულების დადასტურება ხდება მხარეთა შორის შესაბამისი აქტის ხელმოწერით.

9.4. „შემსყიდველის“ მხრიდან ამ მუხლის 9.1. და 9.3. პუნქტებში აღნიშნულ აქტებს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების“ მე-8 მუხლის 8.4. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

მუხლი 10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნადლო ანგარიშსწორებით ლარებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2015 და 2016 წლებში „შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

10.2. „ხელშეკრულების“ მიმდინარეობის პერიოდში, მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ანგარიშსწორება შესაძლოა განხორციელდეს წინასწარი საავანსო გადახდით ან/და ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის „შემსყიდველისათვის“ წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის ვადაში.

10.3. საავანსო გადახდა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი საბანკო გარანტიის საფუძველზე, „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრული ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს, „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%-მდე, ხოლო დარჩენილი სამუშაოების ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად, მათ შორის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების მიხედვით, რომელიც დადასტურებული იქნება ფორმა N2-ით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტით (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი დოკუმენტაციით, იმ პირობით, რომ ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს შუალედური აქტების

საფუძველზე გადახდები არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 85%-ს, საავანსო გადახდის ჩათვლით.

10.4. ამ მუხლის 10.3. პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი საბანკო გარანტიის გაქვითვა შესაძლებელია მხოლოდ „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობით საბანკო გარანტიის გამცემი შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტისადმი, „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე.

10.5. წინასწარი საავანსო გადახდის შემთხვევაში, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე, პირველ რიგში ხორციელდება საავანსო საბანკო გარანტიის სრულად გაქვითვა და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ განხორციელდება „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10.6. ამ მუხლის 10.3. პუნქტით გათვალისწინებული საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს“ წარუდგინოს საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

10.7. „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებელთან“ საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის, კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის შემდგომ, „ხელშეკრულების“ მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ისა და ფარული სამუშაოების ჩატარების აქტის (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) საფუძველზე.

10.8. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისათვის“ ჯამურად გადახდილი თანხა აღემატება ექსპერტიზის დასკვნაში მოცემულ სამუშაოს საბოლოო ღირებულებას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ დაუბრუნოს მეტობით მიღებული თანხა, წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1. „ხელშეკრულებით“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12.2. „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლის 5.4. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „ხელშეკრულების ღირებულების“ 0.05%-ის ოდენობით.

12.3. „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლის 5.4. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მონაკვეთების/ეტაპების ვადის დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო თითოეული მონაკვეთის/ეტაპის ვადის დარღვევისათვის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით, „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

12.4. ამ მუხლის 12.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო „მიმწოდებელს“ დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დაარღვია „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული „სამუშაოს“ დასრულების ვადა. ასეთ შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ასევე დაეკისრება ამ მუხლის 12.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

12.5. „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლის 5.4. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „ხელშეკრულების ღირებულების“ 0.02%-ის ოდენობით.

12.6. „მიმწოდებლის“ მხრიდან, „სამუშაოს“ სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ აკისრებს ჯარიმას „მიმწოდებელს“, „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%-ის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივ შეუსრულებლობისას - შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 10%-ის ოდენობით და ცალმხრივად წყვეტს „ხელშეკრულების“ მოქმედებას.

12.7. თუ „მიმწოდებელი“ არღვევს „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლის 5.4. პუნქტით მის მიერ ნაკისრ სხვა ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ აკისრებს „მიმწოდებელს“ ჯარიმას „ხელშეკრულების ღირებულების“ 0,2%-ის ოდენობით და/ან ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას.

12.8. თუ „მიმწოდებელი“ არღვევს „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლის 5.5. პუნქტებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, „შემსყიდველი“ აკისრებს „მიმწოდებელს“ ჯარიმას „ხელშეკრულების ღირებულების“ 0,05%-ის ოდენობით და/ან ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას.

12.9. თუ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული დაანგარიშებული და/ან დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამური ოდენობა აღემატება „ხელშეკრულების ღირებულების“ 5%-ს, „შემსყიდველი“ ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას.

12.10. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.11. ამ მუხლის 12.7. და 12.8. პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება „მიმწოდებელს“, თუ შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების“ ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა

14.1. „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

15.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება:

ა) ხელშეკრულების“ მე-12 მუხლის 12.6., 12.7., 12.8., 12.9. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.3. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 „ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის ----- ჩათვლით, გარდა მე-6 მუხლის 6.2. და მე-12 მუხლის 12.5. და 12.7. პუნქტებისა.

16.2. „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლის 6.2. და მე-12 მუხლის 12.5. და 12.7. პუნქტები ძალაშია „სამუშაოს“ შესრულების საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) „მიმწოდებელთან“.

17.3. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული კომუნიკაციის საშუალებები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი

<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა ტელ: 2 31 15 80 მეილი:ელ. ფოსტა: ფაქსი: სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 სახაზინო კოდი - 302009921</p> <p>მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე</p>	<p>შპს „-----“ საიდენტიფიკაციო კოდი: იურიდიული მისამართი: ფაქტობრივი მისამართი: ტელეფონი: ელ. ფოსტა: ფაქსი: მომსახურე ბანკი: ს.ს. „-----“ ბანკის კოდი: ანგარისწორების ანგარიში:</p> <p style="text-align: center;">დირექტორი -----</p>
---	--